

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების ანალიზი კერძო კაპიტალის
ზრდისა და ეკონომიკური განვითარების ჭრილში საქართველოს და
საერთაშორისო პრაქტიკის შედარების საფუძველზე

თორნიკე კვიციანი

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს)
სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: ირინა ალაპიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თორნიკე კიკნაძე

23.06.2018

აბსტრაქტი

ნებისმიერი ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებული ეკონომიკის განვითარების დონეზე. რაც უფრო მეტად განვითარებულია ეკონომიკა, მით უფრო მაღალია ცხოვრების ხარისხი. ამ ყოველივეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ განვითარებული ეკონომიკა, თავის მხრივ, ქვეყანაში დიდი რაოდენობით პროდუქტისა და მომსახურების არსებობას გულისხმობს. ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პირობაა ინვესტიციები, რომელთა საშუალებითაც მეტი სარგებლის მიღება შეუძლია ნებისმიერ ქვეყანას იქნება ეს განვითარებული თუ განვითარებადი.

ინვესტიციების როლი ეკონომიკის განვითარებაში ძალიან დიდია სწორედ რომ გლობალიზაციის პირობებში, ანუ დღეს, როცა ინფორმაცია ყველა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ უფრო სწრაფად და მარტივად არის ხელმისაწვდომი თანამედროვე ელექტრონული რესურსებისა და დაგროვებული ინფორმაციის ფონზე.

ნაშრომში განხილულია ინვესტიციების წახალისების ერთ-ერთი საშუალება, როგორც არის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნები დებენ იმ მიზნით რომ გააღრმავონ ეკონომიკური თანამშრომლობა. ვინაიდან ინვესტიციების როლი ასეთი დიდია ეკონომიკაში, არანაკლებ მნიშვნელოვანია ინვესტიციების რეგულირების საკითხი. ნაშრომის მიზანია, დაადგინოს თუ რამდენად ეფექტიანად ახდენს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტების წახალისებასა და ზრდას, როგორცაა ინვესტიციები და რამდენად უწყობს ხელს მსგავსი ხელშეკრულებები მხარეების ეკონომიკურ განვითარებასა და შესაბამისად კერძო კაპიტალის ზრდას.

საძიებო სიტყვები: ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, ეკონომიკა, ეკონომიკური თანამშრომლობა, ინვესტიციები, ეკონომიკის განვითარება, კაპიტალის ზრდა.

Abstract

Well-being of any country is depended upon the level of economic development. The more developed economy is, higher the life quality. This is true because developed economy means that there is a big number of services and products in a country. One condition for economic growth is investments, as they contribute for more benefits in any country be it developing or developed countries.

Investments have a great impact on economic growth especially in the time of globalization which is now when information about any country's economic situation is available more easily and quickly via modern el-resources and all the information that's out there.

This work discusses one element of investment encouragement such as Bilateral Investment Treaties, which are signed by different countries for the purpose of expanding economic collaboration. As long as the impact of investments on economy is so big, the regulations of investments are not of less importance. The goal of this work is to find out how effectively do Bilateral Investment Treaties encourage and grow such important elements of economy as investments and how do these treaties support economic development and thus private capital growth of its parties.

Key words: Bilateral Investment Treaties, Economics, Economic collaboration, Investments, Economic Development, Capital growth